



საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

ივლისი თვის მიმოხილვა

2023

ინფლაცია	3
საბანკო სექტორი	5
საბარეო სექტორი	7
სავალუტო ბაზარი.....	11
ფულადი ბაზარი.....	14
მონეტარული აგრიგატები.....	15

“თვის მიმოხილვა“
მომზადებულია საქართველოს ეროვნული ბანკის
მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ


ინფლაცია

2023 წლის ივნისში წლიური ინფლაცია სამიზნე მაჩვენებელს ჩამოცდა და 0.6% შეადგინა, ხოლო მაისთან შედარებით ფასები 0.7%-ით შემცირდა.


საქართველოში ინფლაციას შემცირების ტენდენცია აქვს. ინფლაციის შემცირებას მეცნილად გლობალური ტენდენციები და ეგზოგენური შოკების ეცაბობრივი მიღევა განაპირობებს. საერთაშორისო ბაზრებზე საქონლის ფასები სცაბილურად იკლებს და მცირდება საერთაშორისო გადაზიდვების ლირებულეზაც. ეს ტენდენციები საქართველოს ბაზარს გადმოეცემა და გამყარებული ლარის კურსის ფონზე ინფლაციას ამცირებს. ინფლაციის შემცირებას გამკაცრებული მონეცარული პოლიციკაც ხელს უწყობს.

თვის ინფლაცია -0.7% (წვლილი)

წლიური ინფლაცია 0.6% (წვლილი)



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

ივნისში, წინა თვესთან შედარებით, სურსათის ჯგუფის ფასებმა 3.5%-ით მოიკლო, რამაც თვის ინფლაცია 1.1 პპ-ით შეამცირა. კერძოდ, წინა თვესთან შედარებით სურსათის ჯგუფის ინფლაციის კლება მეცნილად, კარცოფილის, პომიდორის, ხორბლის პურის, მზესუმზირის ზეთის ფასების კლებამ განაპირობა. საპირისპიროდ, ვაშლის, ანთების სანინალმდეგო პრეპარატების და ბენზინის გაძვირებამ თვის ინფლაცია 0.3 პპ-ით გაზარდა.

ივნისში წლიური ინფლაციის შემცირება მეცნილად სანავის, მზესუმზირის ზეთისა და მედიკამენტების ფასების კლებამ განაპირობა. სანავის წვლილი ინფლაციაში უარყოფითია და ივნისში ამ მაჩვენებელმა -1.7 პპ შეადგინა. ფართოდ მოხმარებადი მედიკამენტების გაიაფებამ წლიური ინფლაცია 0.7 პპ-ით შეამცირა. ივნისში სურსათის ფასები, წინა წელთან შედარებით, 0.6%-ით არის შემცირებული, რამაც მთლიან ინფლაციაში -0.2 პპ-იანი წვლილი შეიცანა. სურსათის ინფლაცია მეცნილად ზეთზე, ხილზე, ბოსცნეულსა და ბალრეულზე შემცირებულ ფასებს უკავშირდება. თუმცა ივნისში წინა წელთან შედარებით სურსათის ჯგუფიდან ფასები გაზრდილია ხორცზე, თევზსა და ყველზე.


საბაზო ინფლაცია, რომელიც სამომხმარებლო კალათიდან მალალი მერყობით გამორჩეულ სურსათის, ენერგომაცარებლების და სიგარეცის ფასებს გამორიცხავს, მცირედით გაიზარდა და 4.0% შეადგინა.

მთლიანი და საბაზო ინფლაცია



წყარო: საქსტატი

ჯგუფების წვლილი მთლიან ინფლაციაში




წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები


ინფლაციის შემცირებას მეცნილად იმპორტული და შერეული ინფლაციის კლება განაპირობებს. ბოლო თვეებში იმპორტულ ინფლაციას მკვეთრად კლების ტენდენცია აქვს, რასაც საერთაშორისო ბაზრებზე სასაქონლო პროდუქტების ფასების და საერთაშორისო ტრანსპორტირების ხარჯების შემცირებასთან ერთად ლარის კურსის გამყარება უწყობს ხელს. ივნისში იმპორტირებული საქონლის წლიური 5.9%-იანი დეფლაცია დაფიქსირდა. ასეთივე დინამიკა აქვს შერეულად წარმოებული პროდუქტების ფასებს, რომელთა დეფლაცია ივნისში 6.8%-ს გაუტოლდა.

ჯერ ისევ მალაღია, თუმცა ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების წლიურმა ინფლაციამ, წინა თვესთან შედარებით, ძირითადად სურსათის ხარჯზე, 0.6 პპ-ით მოიკლო და 8.5% შეადგინა. მალაღი ადგილობრივი ინფლაცია მეტწილად მომსახურების წლიურ გაძვირებას (9.6%) უკავშირდება. მომსახურების ინფლაციაში მალაღი წვლილი აქვს საბანკო მომსახურების გაძვირებას. ასევე გასულ წელს უცხოელთა რაოდენობის მკვეთრი მატების შედეგად გაზრდილი ბინის ქირის ღირებულების წვლილი ინფლაციაში ევაპობრივად იკლებს, თუმცა მისი წვლილი მომსახურების ინფლაციაში კვლავ მალაღია და 0.9 პპ-ს შეადგენს.

ინფორმაციული, სერვისული და ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების ინფლაცია და მათი წვლილები მთლიან ინფლაციაში



წყარო: საქსტატი



წყარო: საქსტატი


ინფლაცია დეტალურად	2023 წლის წონები	ივნ23/მაი23		ივნ23/ივნ22	
		ინფლაცია	წვლილი	ინფლაცია	წვლილი
სულ	100.0%	-0.7%	-0.7%	0.6%	0.6%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	33.7%	-3.2%	-1.1%	0.0%	0.0%
სურსათი	30.9%	-3.5%	-1.1%	-0.6%	-0.2%
პური და პურპროდუქტები	6.1%	-2.7%	-0.2%	-1.9%	-0.1%
ხორცი და ხორცპროდუქტები	7.0%	-0.6%	0.0%	8.2%	0.6%
თევზი	0.5%	3.3%	0.0%	8.6%	0.0%
რძე, ყველი და კვერცხი	6.9%	-1.6%	-0.1%	7.6%	0.4%
ზეთი და ცხიმი	2.6%	-4.9%	-0.1%	-21.7%	-0.6%
ხილი, ყურძენი	1.6%	-0.2%	0.0%	-14.1%	-0.3%
ბოსტნეული, ბალახეული, კარტოფილის და სხვა ბოლქვოვანების ჩათვლით	3.4%	-19.1%	-0.7%	-10.2%	-0.3%
შაქარი, ჯემი, თაფლი, სიროფები, შოკოლადი, საკონდიტრო ნაწარმი	2.2%	-0.2%	0.0%	1.9%	0.0%
კვების სხვა პროდუქტები	0.7%	0.0%	0.0%	-1.1%	0.0%
უალკოჰოლო სასმელები	2.9%	0.0%	0.0%	5.4%	0.2%
ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო	6.9%	1.0%	0.1%	7.4%	0.5%
დანსაცემელი და ფეხსაცემელი	4.0%	0.2%	0.0%	0.4%	0.0%
საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები	9.0%	0.8%	0.1%	4.5%	0.4%
ავეჯი, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება	5.2%	0.4%	0.0%	5.5%	0.3%
ჯანმრთელობის დაცვა	9.4%	0.3%	0.0%	-6.9%	-0.7%
ტრანსპორტი	12.3%	1.5%	0.2%	-11.6%	-1.6%
კავშირგაბმულობა	3.6%	0.1%	0.0%	-3.1%	-0.1%
დასვენება, გართობა და კულტურა	3.1%	-0.7%	0.0%	-0.1%	0.0%
განათლება	4.4%	0.0%	0.0%	6.8%	0.3%
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	3.1%	1.5%	0.0%	10.2%	0.3%
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	5.3%	0.0%	0.0%	17.7%	0.9%
ხანმოკლე მოხმარების საქონელი	63.6%	-1.3%	-0.8%	-2.3%	-1.5%
საშუალო მოხმარების საქონელი	7.1%	0.2%	0.0%	1.0%	0.1%
ხანგრძლივი მოხმარების საქონელი	4.9%	-0.4%	0.0%	-9.3%	-0.5%
მომსახურება	24.4%	0.7%	0.2%	9.6%	2.3%

წყარო: საქსტატი

საბანკო სექტორი


მაისში საბანკო სექტორის სადეპოზიციო ვალდებულებები წლიურად 8.1 მლრდ ლარით გაიზარდა (თვიურად 2,401.8 მლნ ლარით გაიზარდა) და 45.6 მლრდ ლარი შეადგინა. სადეპოზიციო ვალდებულებები წლიურად 21.7%-ით გაიზარდა, ძირითადად ეროვნული ვალუტის დეპოზიტების მატების გავლენით. მაისში წინა თვესთან შედარებით, ეროვნული ვალუტის სადეპოზიციო ვალდებულებები 1,552.2 მლნ ლარით (7.4%-ით) გაიზარდა და 22.5 მლრდ ლარი შეადგინა. აღნიშნული ზრდა, ძირითადად ვადიანი დეპოზიტების მატებამ გამოიწვია. რაც შეეხება უცხოური ვალუტის დეპოზიტებს, წინა თვესთან შედარებით, 1.6 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა. მაისში, სამთავრობო სექტორის დეპოზიტები 504.9 მლნ ლარით გაიზარდა.

სადეპოზიციო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


სადეპოზიციო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


მაისში დეპოზიტების საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის გარეშე) წინა თვესთან შედარებით 0.2 პპ-ით გაიზარდა და 6.3% შეადგინა. ეროვნული ვალუტით დენომინირებულ დეპოზიტებზე საშუალო შენონილი წლიური საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით 8.3%-მდე შემცირდა, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთი პრაქტიკულად არ შეცვლილა და 1.0%-ს შეადგენს. რეზიდენტების ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები შემცირდა, რაც ლარის დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთის კლებამ განაპირობა. კერძოდ, რეზიდენტების ლარის ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთი წინა თვესთან შედარებით 0.1 პპ-ით შემცირდა და 11.9% შეადგინა. ევროს დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთი წინა თვესთან შედარებით, 0.4 პპ-ით 1.4%-მდე, ხოლო აშშ ვადიანი დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით 1.3%-მდე გაიზარდა.

დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის გარეშე, ნაპალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


რეზიდენტების ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები ვალუტების მიხედვით (ნაპალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


უცხოური და ეროვნული ვალუტის დეპოზიტების ზრდის ცემპებიდან გამომდინარე, დეპოზიტების დოლარიზაცია, მაისში, წინა თვესთან შედარებით 1.8 პპ-ით შემცირდა და 50.5%-ს შეადგენს. მაისის ბოლოს, იურიდიული და ფიზიკური პირების დეპოზიტების დოლარიზაცია, წინა თვესთან შედარებით 0.9-1.2 პპ-ით შემცირდა და შესაბამისად 37.4% და 66.6% შეადგინა. ფიზიკური პირების ვადიანი დეპოზიტების დოლარიზაცია მაისში, წინა თვესთან შედარებით 0.6 პპ-ით 61.6%-მდე გაიზარდა.

დამოზიდვის დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ფიზიკური პირების ვალდანი დამოზიდვის დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


მაისში გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, სესხები წლიურად 12.8%-ით გაიზარდა. სესხების ზრდის ცემპი წინა თვესთან შედარებით 0.4 პპ-ით შემცირდა. მაისში, ლარით დაკრედიტება წლიურად 15.2%-ით, 25.3 მლრდ ლარამდე გაიზარდა და მთლიანი სესხების ზრდაში 7.7 პპ-იანი წვლილი შეიტანა. უცხოური ვალუდით დაკრედიტება (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით) 10.2%-მდე შენედა და მთლიანი სესხების ზრდაში 5.0 პპ-იანი წვლილი შეიტანა. უცხოური ვალუდით დაკრედიტების ცემპის შემცირება ძირითადად ბიზნეს სესხების ზრდის ცემპის შენელებით არის განპირობებული, რომლის წვლილი მთლიანი სესხების ზრდაში, წინა თვესთან შედარებით, 0.4 პპ-ით შემცირდა, იპოთეკური სესხების წვლილი კი 0.1 პპ-ით შემცირდა. სამომხმარებლო სესხების ზრდის ცემპი მცირედით შემცირდა და მთლიან სესხებში 3.5 პპ-იანი წვლილი შეიტანა.

სესხების წლიური ზრდის დეკომპოზიციონი (კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სესხები მიზნობრიობის მიხედვით (წლიური ზრდის დეკომპოზიციონი; კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


მაისში სესხების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები წინა თვესთან შედარებით 0.1 პპ-ით შემცირდა და 14.0% შეადგინა. ეროვნული ვალუდით სესხებზე საშუალო შეწონილი წლიური საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით 16.6%-მდე შემცირდა, ხოლო უცხოური ვალუდით გაცემულ კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთი 1.3 პპ-ით 9.1%-მდე შემცირდა.

საპროცენტო განაკვეთები იურიდიულ პირებზე გაცემულ სესხებზე (ნააკალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საპროცენტო განაკვეთები იპოთეკურ სესხებზე (ნააკალი)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

იურიდიულ პირებზე ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით შემცირდა და მაისში 13.8% შეადგინა. იპოთეკურ სესხებზე ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.3 პპ-ით შემცირდა და 12.9% შეადგინა. მაისში, წინა თვესთან შედარებით, იურიდიულ პირებზე უცხოური ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 1.2 პპ-ით 9.8%-მდე შემცირდა. უცხოური ვალუტით გაცემული იპოთეკური სესხების საპროცენტო განაკვეთები 0.3 პპ-ით 6.9%-მდე შემცირდა.


მაისში მთლიანი საკრედიტო პორტფელის დოლარიზაციამ, წინა თვესთან შედარებით, 0.4 პპ-ით მოიკლო და 44.4%-ს გაუცოლდა. იურიდიული პირების სესხების დოლარიზაცია წინა თვესთან შედარებით 0.2 პპ-ით შემცირდა და 61.8%-ს შეადგენს, ფიზიკური პირების სესხების დოლარიზაცია 0.4 პპ-ით და 29.8%-დე შემცირდა. საანგარიშსწორებო პერიოდში, ვადაგადაცილებული სესხები წინა თვესთან შედარებით 25.6 მლნ ლარით გაიზარდა და 470.5 მლნ ლარს გაუცოლდა. ვადაგადაცილებული სესხების 41.6% ეროვნული ვალუტით არის დენომინირებული.

დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ვადაგადაცილებული დავალიანება




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საგარეო სექტორი


მაისში საქონლის რეგისტრირებული საგარეო ვაჭრობის დეფიციტი წინა წელთან შედარებით 0.3%-ით შემცირდა და 656.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საგარეო ვაჭრობის დეფიციტის შემცირება საქონლის ექსპორტის ზრდასთან ერთად იმპორტის ზრდის დაბალ ტემპს უკავშირდება. აღნიშნულ თვეში, საქონლის იმპორტმა წლიურად 1.4%-ით 1,197.4 მლნ აშშ დოლარამდე მოიმატა, ხოლო ექსპორტი წლიურად 3.5%-ით გაიზარდა და 541.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

საქონლის ექსპორტ-იმპორტისა და საგარეო ბალანსის დინამიკა



წყარო: საქსტატი


საგარეო ბალანსი ძველებს მიხედვით (მაისი 2023)




წყარო: საქსტატი

იმპორტი - მაისში საქონლის იმპორტი წლიურად 1.4%-ით გაიზარდა. საქონლის იმპორტის მატება უმეცესად სამომხმარებლო სახის საქონლის იმპორტის ზრდამ განაპირობა. კერძოდ, სამომხმარებლო სახის საქონლიდან ზრდაში მეტი წვლილები საკურნალო საშუალებებისა და საცელეფონო აპარატების შესყიდვებმა შეიქცინა, ხოლო დანარჩენი სამომხმარებლო ჯგუფიდან კვლავ მათალი იყო მსუბუქი ავტომობილების იმპორტი, თუმცა ამ უკანასკნელმა შარშანდელთან შედარებით მცირედი ზრდა აჩვენა. გარდა ამისა, მეორე მსხვილი საიმპორტო ჯგუფის - ნავთობისა და ნავთობპროდუქტების - იმპორტი შემცირდა, რამაც სამომხმარებლო სახის საქონლის იმპორტის ზრდა შეანელა. აღსანიშნავია ასევე სიგარეტები-სიგარილების, გაყინული და მზა საკვები პროდუქტების გაზრდილი იმპორტი. შუალედური სახის საქონლის იმპორტის ჯგუფიდან შავი ლითონის მეტალოკონსტრუქციებისა და მინის ქურჭლის იმპორტის ზრდა გამოირჩეოდა, ხოლო რეექსპორტისთვის განკუთვნილი სპილენძის, ასევე ძვირფასი მადნებისა და კონცენტრატების, ასევე ნახშირბადიანი ფოლადის წნელების იმპორტი მნიშვნელოვნად შემცირდა. საინვესტიციო საქონლის იმპორტის მატება უმეცესად სადვირთო ავტომობილების, დრაქტორებისა და სხვა საფრენი აპარატების შესყიდვებმა გაზარდა. მთლიანობაში, საქონლის იმპორტი წინა წელთან შედარებით რეალურად 13.2%-ით გაიზარდა.

საქონლის იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაში)



საქონლის რეალური იმპორტი (წლიური ცვლილება)



წყარო: საქსტატი

წყარო: საქსტატი

ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებიდან იმპორტის მატებაში მალალი წვლილი შეიტანა თურქეთმა, რაც სამკურნალო საშუალებებისა და სიგარეტები-სიგარილების შემოტანის მატებას უკავშირდება. რუსეთიდან იმპორტი მცირედით იყო გაზრდილი, უმეტესად ნავთობის კოქსი-ბიძუმისა და მინის ქურჭლის შემოტანის გავლენით. ევროკავშირის ქვეყნებიდან იმპორტის მატების კუთხით გამოირჩეოდა გერმანია, ძირითადად მსუბუქი ავტომობილებისა და ტრაქტორების მალალი შესყიდვების გამო. იტალიიდან იმპორტის მატება ცენტრიფუგებისა და საცვითო ავტომობილების ზრდამ განაპირობა. სხვა ქვეყნებიდან აღსანიშნავია არაბთა გაერთიანებული საამიროებიდან საცელეფონო აპარატებისა და სარეცხი მანქანების, იაპონიიდან მსუბუქი ავტომობილების, შვეიცარიიდან სამკურნალო საშუალებების, ბრაზილიიდან შაქრისა და ღორის გაყინული ხორცის, ხოლო ჩინეთიდან სხვა საფრენი აპარატებისა და გამომთვლელი მანქანების მნიშვნელოვანი ზრდა. ამის საპირისპიროდ, სომხეთიდან და მონტენეგროდან სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, ხოლო თურქმენეთიდან და აზერბაიჯანიდან ნავთობის და ნავთობპროდუქტების იმპორტი არსებითად შემცირდა. აღნიშნულ თვეში, 7 ძირითად სავაჭრო პარტნიორზე მთლიანი იმპორტის 61% მოდიოდა. წინა წელთან შედარებით ქვეყნების მიხედვით იმპორტი უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.


მაისში იმპორტირებულ საქონელში, წამყვანი წილი მსუბუქ ავტომობილებს, ასევე ნავთობპროდუქტებსა და დაფასოებულ სამკურნალო საშუალებებს (25%-იანი წილი მთლიან იმპორტში) ეჭირა. აღსანიშნავია, რომ მაისში იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით წინა წლის მაისთან შედარებით უფრო მეტად დივერსიფიცირებული იყო.

საქონლის იმპორტი პროდუქციის კატეგორიების მიხედვით (მაისი, 2023, მლნ აშშ დოლარი)

მსუბუქი ავტომობილები, 163	ნავთობი და ნავთობპროდუქტები, 82	დაფასოებული სამკურნალო საშუალებები, 61	საინვესტიციო აპარატები, 36
		საცვითო ავტომობილები, 16	ნავთობის აირები, 14
		სპილენძის მადნები, 14	სიგარები-სიგარეტები, 14
			ტრაქტორები და უნაირი სანავაგები, 14
			ფოლადის წნალები, 13

წყარო: საქსტატი


ქვეყნების წილი საქონლის იმპორტში - (მაისი, 2023)



წყარო: საქსტატი


ექსპორტი - მაისში საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი წლიურად 3.5%-ით გაიზარდა. საქონლის ექსპორტის ზრდა მეტწილად სამომხმარებლო საქონლის ექსპორტის ზრდამ განაპირობა, ხოლო შუალედური საქონლის ექსპორტმა მნიშვნელოვნად დაიკლო. **სამომხმარებლო საქონლის ექსპორტის მატებაში მნიშვნელოვანი წვლილი (81.9 კპ) მსუბუქმა ავტომობილებმა შეიტანა.** გარდა ამისა, შუალედური სახის საქონლის ჯგუფში ფეროშენადნობების, სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, ასევე ნახშირბადიანი ფოლადის ნახევარფაბრიკატების ექსპორტი წლიურად არსებითად შემცირდა, რამაც მთლიანი ექსპორტის ზრდა შეანელა. აღსანიშნავია, რომ საინვესტიციო საქონლიდან ტრაქტორების, სპეციალური დანიშნულების ავტომობილებისა და სამშენებლო მანქანების ექსპორტი მალალი იყო. მაისში საქონლის ექსპორტის მოცულობა რეალურად 6.4%-ით გაიზარდა.

საქონლის ექსპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაში)



წყარო: საქსტატი

საქონლის რეალური ექსპორტი (წლიური ზრდა)



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშება

რეგიონის ქვეყნებიდან საექსპორტო შემოსავლების ზრდაში მალალი წვლილი შეიძლება აზერბაიჯანსა და სომხეთში ექსპორტის მატებამ, რაც კვლავ მსუბუქი ავტომობილების მნიშვნელოვნად გაზრდილ გაყიდვებს უკავშირდება. რეგიონის სხვა ქვეყნებიდან რუსეთში ექსპორტის მცირეოდენი მატება ყურძნის ნაცურალური ღვინოების, მსუბუქი ავტომობილებისა და მინერალური წყლების გაყიდვების ზრდის გავლენით მოხდა. **ყირგიზეთთან, ყაზახეთთან და ცაჯიკეთთან, მსუბუქი ავტომობილების მალალი რექსპორტის გამო, ამ ქვეყნებთან საგარეო ვაჭრობის ბალანსი, იანვარ-აპრილის მსგავსად, მაისში კვლავ დადებითი იყო.** აღსანიშნავია, რომ სამკურნალო საშუალებების მალალი ექსპორტის გამო, აპრილის მსგავსად, უზბეკეთთან ასევე დადებითი სავაჭრო ბალანსი დაფიქსირდა. დანარჩენი ქვეყნებიდან აღსანიშნავია ესპანეთში სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, ერაყში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ცანზანიაში მინერალური და ქიმიური სასუქების გაყიდვების ზრდა. ამის საპირისპიროდ, აშშ-ში ფეროშენადნობების, ჩინეთსა და ბულგარეთში სპილენძის მადნების და კონცენტრატების, პერუში მინერალური და ქიმიური სასუქების ექსპორტი არსებითად შემცირდა. აღნიშნულ თვეში, 7 ძირითად სავაჭრო პარტნიორზე მთლიანი ექსპორტის 75% მოდიოდა. წინა წელთან შედარებით ქვეყნების მიხედვით ექსპორტი უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.


მაისში საქონლის ექსპორტის უდიდესი წილი მსუბუქ ავტომობილებს, სპილენძის მადნებსა და კონცენტრატებს, ასევე ყურძნის ნაცურალურ ღვინოებს ეჭირა (52% წილი მთლიან ექსპორტში). საქონლის ექსპორტის ზრდაში ყველაზე დიდი წვლილი (27.0 პპ მთლიან ზრდაში) მსუბუქი ავტომობილების ექსპორტმა შეიძინა, რომელიც წლიურად 3.4-ჯერ გაიზარდა. ექსპორტის მოცულობაზე მცენარე წყლებზე, დაგაზიანებულ წყლებზე, სპირტიან სასმელებზე, ყურძნის ნაცურალურ ღვინოებსა და სიგარეტები-სიგარეტებზე საგარეო მოთხოვნის არსებითი მატება (ჭამურად 6.2 პპ წვლილი მთლიანი ექსპორტის ზრდაში) დადებითად აისახა. ამის საპირისპიროდ, ფეროშენადნობების, ნახშირბადიანი ფოლადის ნახევარფაბრიკატების, ასევე სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების ჯგუფების ექსპორტი შემცირებულია. წინა წელთან შედარებით სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ექსპორტი უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.

საქონლის ექსპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (მაისი 2023, მლნ აშშ დოლარი)

მსუბუქი ავტომობილები, 200	სპილენძის მადნები და კონცენტრატები, 58	ყურძნის ნაცურალური ღვინოები, 25	
	ელექტროენერჯია, 18	სპირტიანი სასმელები, 15	მინერალური და მცენარეული წყლები, 13
	მინერალური-ქიმიური სასუქები, 15	დაგაზიანებული წყლები, 15	სამკურნალო საშუალებები, 12
		სიგარეტები-სიგარეტები, 10	

წყარო: საქსტატი

ქვეყნების წილი საქონლის ექსპორტში (მაისი 2023)




წყარო: საქსტატი

ფულადი გზავნილები - მაისში საქართველოში გადმორიცხული თანხების მოცულობამ წლიურად 23.9%-ით დაიკლო და 384.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო საქართველოდან გადარიცხული თანხების მოცულობა 7.9%-ით 30.9 მლნ აშშ დოლარამდე გაიზარდა.


რუსეთიდან ფულადი გადმორიცხვები მაისში კვლავ მალალი იყო (155 მლნ აშშ დოლარი), თუმცა წინა წლის იმავე თვესთან შედარებით 51%-ით ნაკლებია. მაისში, რეგიონის ქვეყნებიდან, თურქეთიდან გადმორიცხული ფულადი სახსრები მნიშვნელოვნად (80.5%-იანი ზრდა) გაიზარდა, ხოლო ყირგიზეთიდან და აზერბაიჯანიდან გადმორიცხულმა თანხებმა დაიკლო, შესაბამისად 20.6%-ითა და 19.9%-ით. წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით, ყაზახეთიდან გადმორიცხული თანხები მცირედით ნაკლები იყო, ხოლო უკრაინიდან გადმორიცხული ფულადი გზავნილები კვლავ მინიმალურ დონეზე დარჩა. მალალი ცემპით გაიზარდა აშშ-დან გადმორიცხული ფულადი სახსრებიც (39.5%-ით). **მაისში ფულადი გზავნილების ძირითად წყაროს რუსეთი (40.2%), ევროკავშირის ქვეყნები (30.0%) და აშშ (10.0%) წარმოადგენდა.** ევროკავშირის ქვეყნებიდან აღსანიშნავია იტალიის, საბერძნეთისა და გერმანიის მალალი წილი მთლიან ფულად გზავნილებში.

ქვეყნების წილი სწრაფ ფულად გზავნილებაში (მაისი 2023)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი გზავნილების ზრდა (წვლილი ზრდაში ქვეყნების მიხედვით)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სავალუტო ბაზარი


მაისში, წინა თვესთან შედარებით, ლარის საშუალო გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2.5244-დან 2.5343-მდე (0.4%-ით) გაუფასურდა, ხოლო ევროს მიმართ საშუალოდ 2.7633-დან 2.7574-მდე (0.3%-ით) გამყარდა. თვის ბოლოს კი ლარის ოფიციალურმა გაცვლითმა კურსმა აშშ დოლარისა და ევროს მიმართ 2.5919 და 2.7824 შეადგინა. მაისში ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის მაქსიმალურმა მნიშვნელობამ - 2.5919, ხოლო მინიმალურმა 2.4830 შეადგინა.

ლარის ნომინალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარისა და ევროს მიმართ



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის ყოველთვიური მერყეობის დიაგრამა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მაისში გაცვლითი კურსის მაქსიმალური და მინიმალური მნიშვნელობები საშუალო დონიდან თითქმის თანაბრად იყო გადახრილი.


მაისში დოლართან მიმართებაში შესამჩნევია რუსული რუბლის და სომხური დრამის გამყარება, მცირედით გაუფასურდა აზერბაიჯანული მანათი, ხოლო ლარი, ევრო და თურქული ლირა გაუფასურებით ხასიათდებოდა.

თვის განმავლობაში საშუალო კურსიდან გადახრა (ლარი/დოლარი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ძირითადი სავაჭრო პარტნიორების საშუალო თვიური გაცვლითი კურსების ცვლილება დოლართან მიმართებით (2023 წლის მაისი; ზრდა=გაუფასურება)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარის ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები წლიურად გამყარებას განაგრძობს. მაისში წლიურად, ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი - 16.0%-ით, ხოლო ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი 27.2%-ით გამყარდა. რაც შეეხება თვიურ ცვლდენციას, წინა თვესთან შედარებით, მაისში როგორც ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი, ასევე ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი 0.2%-ით გაუფასურდა. ეფექტური კურსის გამყარება ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე უარყოფითად აისახება, თუმცა იმპორტირებულ ინფლაციას ამცირებს.


სავაჭრო პარტნიორთაგან მაისში წლიური ინფლაცია თურქეთში, უკრაინაში, აზერბაიჯანში, ევროზონაში, აშშ-ში, ბელარუსსა და რუსეთში საქართველოზე მაღალი იყო, ხოლო დაბალი - სომხეთში. ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ინფლაციებში კლების ტენდენცია შეინიშნება, თუმცა ჯერ ისევ მაღალ დონეზე ნარჩუნდება.

**ლარის ნომინალური და რეალური ეფექტური
გაცვლითი კურსის ინდექსები (იან 2020=100)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**საპაჭრო პარტნიორი ქვეყნების ინფლაციები
(2023 წლის მაისი)**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სავალუტო ბაზრის ტენდენციები


მაისში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე მონაწილეობდა 13 ბანკი და 5¹ არასაბანკო ორგანიზაცია. სავალუტო ბაზრის მაჩვენებლების მიხედვით თვიურად კონცენტრაცია შემცირებულია. შერფინდალ-ჰირშმანის (HH) ინდექსი დაბალ დონეზე ნარჩუნდება, რაც სავალუტო ბაზრის კონკურენტუნარიანობაზე მიუთითებს.

**ბანკთაშორის სავალუტო ბაზრის
მთლიანი საპაჭრო ბრუნვა**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**ბანკთაშორის სავალუტო ბაზრის კონცენტრაციის
მაჩვენებლები 5 ყველაზე აქტიური ორგანიზაციის წილებს
მიხედვით**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მაისში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე ვაჭრობის მოცულობა წლიურად გაიზარდა, ხოლო თვიურად შემცირდა. აღნიშნულ თვეში აშშ დოლარი/ლარის ვაჭრობის მთლიანმა ბრუნვამ 330.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა თვესთან შედარებით 64.9 მლნ აშშ დოლარით ნაკლები, ხოლო წინა წლის მაისთან შედარებით 179.9 მლნ აშშ დოლარით მეტია. ამავდროულად, ბაზრის მონაწილეებს შორის დადებული გარიგებების რაოდენობა წინა თვესთან შედარებით 21.6%-ით, ხოლო წლიურად 33.2%-ით გაიზარდა.


მაისში სავალუტო ბაზარზე ყიდვა-გაყიდვების აქტივობები თითქმის მთლიანად სპოტ² გარიგებებით ხდებოდა (99.5%) და 2,998.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წლიურად 769.5 მლნ აშშ დოლარით (თვიურად 3.3 მლნ აშშ დოლარით) გაზრდილია. სპოტ გარიგებების ძირითადი ნაწილი იურიდიულ პირებსა და შინამეურნეობებზე, დანარჩენი კი არარეზიდენტ ბანკებზე მოდიოდა. საქართველოს ეროვნული ბანკის წილი მთლიან ვაჭრობაში 5.2% იყო. ჯამურად წესებზე დაფუძნებული ორმხრივი ინტერვენციების მექანიზმის გამოყენებით ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვამ თვის განმავლობაში 154.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

1 რომლებიც მონაწილეობენ ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე დადებულ გარიგებებში.
2 სპოტ გარიგება ხდება იმავდროული ვალუტირებით, იმ დროისთვის არსებული კურსით.

საბ-ის მონაწილეობა სავალუტო ბაზარზე



საოც გარიგებებით უცხოური ვალუტით ვაჭრობა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მაისში საოც გარიგებებით კომერციული ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ წლიურად უცხოურ ვალუტაზე როგორც მოთხოვნა, ასევე მიწოდება გაზრდილია. საერთო ჯამში, მაისში საოც გარიგებებით კომერციული ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნა წლიურად 358.3 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვიურად 13.2 მლნ აშშ დოლარით შემცირდა) და 1,530.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ხოლო მიწოდება, წლიურად 411.2 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვიურად 16.4 მლნ აშშ დოლარით) და 1,467.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საოც გარიგებებით როგორც ვალუტის შეძენაში, ასევე ვალუტის გაყიდვაში ყველაზე დიდი წილი იურიდიულ პირებზე მოდიოდა.


მაისში სავალუტო ფორვარდ³ გარიგებებით კომერციულ ბანკებსა და სხვა ეკონომიკურ აგენტებს შორის უცხოური ვალუტით ვაჭრობა წლიურად 4.6 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვიურად 15.4 მლნ აშშ დოლარით შემცირდა) და 13.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ფორვარდ გარიგებებით ვაჭრობის ძირითადი ნაწილი იურიდიულ პირებზე მოდიოდა. ფორვარდ გარიგებებით დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ ბანკებისგან უცხოური ვალუტის წმინდა შესყიდვამ -8.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

ბანკთაშორისი საოც გარიგებებით შექმნილი და გაყიდული უცხოური ვალუტა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფორვარდ გარიგებებით უცხოური ვალუტით ვაჭრობა





წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მაისში ოფიციალური საერთაშორისო რეზერვების მოცულობა თვიურად 128.1 მლნ აშშ დოლარით შემცირდა და 5.0 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. რეზერვებზე შემცირების მიმართულებით იმოქმედა მთავრობის სავალუტო ხარჯებმა, მათ შორის, საგარეო ვალის მომსახურებამ და, ასევე, სახელმწიფო საწარმოების მიერ განხორციელებულმა შესყიდვებმა (ძირითადად, ბუნებრივი აირის შესყიდვა, რომლის მომსახურების საფასურიც რეზერვებიდან კონვერტირდება). რეზერვებზე შემცირების მიმართულებით მოქმედი მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო უცხოური ვალუტით მოზიდულ სახსრებზე დასაცავი სარეზერვო ნორმების მოცულობის შემცირება, რაც დეპოზიტების დოლარიზაციის კლების ასახვაა. ამის საპირისპიროდ, საერთაშორისო რეზერვებზე ზრდის მიმართულებით ეროვნული ბანკის მიერ უცხოური ვალუტის წმინდა შესყიდვები მოქმედებდა, რამაც ზემოთ აღწერილი ფაქტორები ნაწილობრივ დააბალანსა.

3 სავალუტო ფორვარდული კონტრაქტი არის ფართოდ მოხმარებადი ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება სავალუტო რისკების ჰეჯინგისათვის (დაზღვევისათვის). ფორვარდი იძლევა შესაძლებლობას, წინასწარ განსაზღვრული კურსით, დღეს დაიდოს სავალუტო გარიგება ხოლო შესაბამისი ანგარიშსწორება განხორციელდეს მომავალში.

ეროვნული ბანკის ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები მთლიანი საერთაშორისო რეზერვების თვიური ცვლილება (მიმდინარე კურსით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი ბაზარი

მაისში სადეპოზიციო სერვიფიკაციების ერთი აუქციონი ჩატარდა და 20 მლნ ლარის ღირებულის სამთვიანი სადეპოზიციო სერვიფიკაციი გაიყა. ამავე პერიოდში 20 მლნ ლარის ერთი სადეპოზიციო სერვიფიკაციი დაიფარა. შესაბამისად წინა თვესთან შედარებით, სადეპოზიციო სერვიფიკაციების ნაშთი არ შეცვლილა და მაისის ბოლოს 60 მლნ ლარი შეადგინა.


მაისში სახაზინო ფასიანი ქაღალდების ხუთი აუქციონი ჩატარდა. აღნიშნულ აუქციონებზე ჯამში 230.0 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები განთავსდა. მაისში ჩატარებულ აუქციონებზე გაიყიდა 6-თვიანი, ერთწლიანი, ორწლიანი, ხუთწლიანი და ათწლიანი ვადიანობების სახაზინო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც, შესაბამისად, 20, 20, 40, 90 და 60 მლნ ლარის ოდენობით განთავსდა. დაფარვების გათვალისწინებით, სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნაშთი წინა თვესთან შედარებით 244.2 მლნ ლარით გაიზარდა და 7,288.6 მლნ ლარი შეადგინა. მთლიანი პორტფელის 55.1%-ს კომერციული ბანკების, 30.3%-ს ეროვნული ბანკის, 9.8%-ს რეზიდენტების, ხოლო 4.8%-ს არარეზიდენტების მფლობელობაში არსებული სახაზინო ფასიანი ქაღალდები შეადგენს.

სადეპოზიციო სერვიფიკაციების მოცულობა (ნაპალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


სახაზინო ფასიანი ქაღალდების მოცულობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მაისში, სადეპოზიციო სერვიფიკაციების საპროცენტო განაკვეთი პრაქტიკულად არ შეცვლილა, ხოლო სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთები მცირედით შეიცვალა. კერძოდ, მაისში, წინა თვესთან შედარებით, სადეპოზიციო სერვიფიკაციებზე საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთი 0.02 პპ-ით, 9.78%-მდე, შემცირდა. რაც შეეხება სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთებს, 6-თვიანი სახაზინო ვალდებულებების განაკვეთი 0.11 პპ-ით გაიზარდა და 9.49%-ს შეადგენდა. ერთწლიანი და ხუთწლიანი სახაზინო ვალდებულებების საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთი 0.20 პპ-ით და 0.09 პპ-ით შემცირდა, და შესაბამისად 9.57% და 8.64% შეადგინა. ორწლიანი და ათწლიანი სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთები არ შეცვლილა, 8.70%-სა და 8.74%-ზე შენარჩუნდა.

ფულადი ბაზრის საპროცენტო განაკვეთები




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მაისში, ბანკთაშორისი ფულადი ბაზრის მოცულობა, თვიურად 335.7 მლნ ლარით, (წლიურად 2,179.2 მლნ ლარით გაიზარდა) 9,920.4 მლნ ლარამდე გაიზარდა, რაც მეცნილად უცხოური ვალუდის რესურსის ბრუნვის ზრდამ განაპირობა. ბანკთაშორისი ფულადი ბაზრის დიდი წილი უცხოური ვალუდის ბრუნვაზე მოდის (77.2%), რომლის მოცულობაც თვიურად 319.1 მლნ ლარით (4.3%-ით) გაიზარდა. ლარის რესურსის ბრუნვის მოცულობა კი, თვიურად 16.7 მლნ ლარით (0.7%-ით) გაიზარდა.

რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთებს, ბანკთაშორის ბაზარზე ლარის რესურსზე საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთი წინა თვესთან შედარებით 0.52 პპ-ით შემცირდა და 10.16% შეადგინა, ხოლო უცხოური ვალუდის საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთი წინა თვესთან შედარებით 0.32 პპ-ით გაიზარდა და 2.00% შეადგინდა.


აღსანიშნავია, რომ მაისში ფულადი ბაზრის რესურსის 22.2% ერთ თვემდე ვაღიანობის დეპოზიტებზე, ხოლო 77.4% კი მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ რესურსზე მოდიოდა.

ლარის შემოსავლიანობის გრუდი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ბანკთაშორისი ფულადი ბაზარი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მონეტარული აბრეგატები

მაისში წინა თვესთან შედარებით, სარეზერვო ფულის მოცულობა 80.2 მლნ ლარით (1.3%) გაიზარდა და პერიოდის ბოლოსთვის 6.1 მლრდ ლარი შეადგინა. მონეტარული ბაზა საშუალო მაჩვენებლის მიხედვით წინა თვესთან შედარებით, 67.6 მლნ ლარით (1.1%-ით) გაიზარდა.


საბანკო სისცემაში შიდა სამთავრობო კონვერტაციებით, ეროვნული ბანკის წმინდა სავალუტო გაყიდვებმა 87.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. სავალუტო ინტერვენციებით ეროვნულ ბანკს ოპერაციები არ განუხორციელებია. BMatch პლატფორმის წესებზე დაფუძნებული მექანიზმის გამოყენებით ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვებმა თვის განმავლობაში 154.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მთლიანობაში შიდა სამთავრობო კონვერტაციებით, სავალუტო ინტერვენციებით და BMatch მექანიზმით, წმინდა უცხოური აქტივები დაახლოებით 67.5 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა. მაისში მთავრობის დეპოზიტებზე არსებული სახსრები 490.5 მლნ ლარით შემცირდა და მისი მოცულობა პერიოდის ბოლოსთვის 901.5 მლნ ლარს გაუცოლდა.

სარეზერვო ფულის თვიური ცვლილება კომპონენტების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი აგრეგატები




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მაისში ნაღდ ფულზე მოთხოვნა 16.0 მლნ ლარით გაიზარდა. რეფინანსირების სესხები წინა თვესთან შედარებით 110.0 მლნ ლარით გაიზარდა და 760.0 მლნ ლარი შეადგინა. საანგარიშო პერიოდში ერთთვიანი სესხი არ გაცემულა და შესაბამისად მისი მოცულობა 400.0 მლნ ლარით შემცირდა. ამავე პერიოდში, მცირე და საშუალო ბიზნესის ლიკვიდობის მხარდამჭერი სესხის ნაშთი 234.7 მლნ ლარით შემცირდა და 41.9 მლნ ლარს შეადგენს. საანგარიშო პერიოდში, განთავსდა და დაიფარა 20-20 მლნ ლარის ნომინალური მოცულობის სადეპოზიტო სერთიფიკატები. მთლიანობაში, მიმდინარე თვეში, ბანკების წმინდა დავალიანების მოცულობა 524.4 მლნ ლარით შემცირდა და პერიოდის ბოლოსთვის, 742.6 მლნ ლარს გაუცოლდა. მეორად ბაზარზე სახაზინო ფასიანი ქაღალდების წმინდა შესყიდვამ 60.0 მლნ ლარი შეადგინა და პორტფელის მოცულობა 60.0 მლნ ლარით გაიზარდა.


მაისში ფართო ფულის (M3) მოცულობა თვიურად 766.4 მლნ ლარით გაიზარდა, უცხოური ვალუტით სადეპოზიტო ვალდებულებების მატების გავლენით. M2 აგრეგატის ზრდა დაფიქსირდა (511.7 მლნ ლარით გაიზარდა), რაც ეროვნული ვალუტის დეპოზიტების ზრდამ განაპირობა.

საბანკო სექტორის ლიკვიდობაზე მოქმედი ფაქტორები




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მონეტარული ოპერაციები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს ეროვნული ბანკი 0114, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1
ტელ: 240 64 88; ფაქსი: 240 65 77; ტელეფონური ხაზი: 240 64 06
ელ ფოსტა: info@nbg.ge; www.nbg.ge



2018

2019

2020

2021

2022